ხ ე ლშ ე კ რ უ ლ ე ბ ა 08

(საქონლის მიწოდებაზე)

ქ. თბილისი

28.01.2016

შ.პ.ს. ,,თეგეტა მოტორსი'' – გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით, შემდგომში წოდებული ,,მიმწოდებლად'' და სსიპ შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლა მისი დირექტორის მ/შემსრულებლის დემურ ძნელაძის სახით, შემდგომში წოდებული ,,დამკვეთად'' შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ,,მიმწოდებელი'' იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობებით მიაწოდოს ,,დამკვეთს'' საქონელი მოთხოვნის შესაბამისად (20300347 აკუმულატორი Extreme 100 ა/ს მარჯვ და20504275 ჰაერის კომპრესორი 12ვgt16a010 CPV 3160000 – CPV 3140000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მისაწოდებელი საქონლის ღირებულება განისაზღვრება ყოველი მიწოდების შემდეგ გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტაციის და გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტის შესაბამისად.

2.2. მიწოდებული საქონლის საერთო ღირებულება შეიცავს ,,შემსრულებლის'' ყველა ხარჯს, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, სახდელს, მოსაკრებელს, ბაჟს, მათ შორის დღგ–ს. და მისი საერთო ღირებულება შეადგენს 234 (ორასოცდათოთხმეტ) ლარს.

3. ანგარიშსწორება

3.1. ,,დამკვეთი'' იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ,,მიმწოდებელს'' მიწოდებული საქონლის ღირებულება, გამოწერილი დ.ღ.გ.–ს ანგარიშფაქტურის საფუძველზე, 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში .

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1. ,,მიმწოდებელი'' იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ,,დამკვეთისათვის'' საქონლის მიწოდება მიწოდების მომენტში არსებულ სარეალიზაციო ფასებში.

4.2. ,,დამკვეთი'' იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ,,მიმწოდებელს'' მიწოდებული საქონლის საფასური.

5. გარანტიები

5.1. თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება დეფექტები, ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია ,,დამკვეთისაგან'' შეტყობინების მიღებიდან 3 კალენდარულ დღეში განიხილოს (დააკმაყოფილოს ან განაცხადოს მოტივირებული უარი) ,,დამკვეთის'' შეტყობინება და გამოასწოროს დეფექტი.

6. საქონლის მიღება – ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიღება დასტურდება დ.ღ.გ.–ს ანგარიშ–ფაქტურით. ასევე, ,,დამკვეთის'' მოთხოვნის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების

აქტით, რომელიც ადასტურებს საქონლის გადაცემას ,,მიმწოდებლისაგან'' ,,დამკვეთზე'' და ,,დამკვეთის'' მიერ მის მიღებას. მიღება–ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს, ,,დამკვეთის'' მოთხოვნის საფუძველზე, მიწოდების ფაქტიურად განხორციელებისთანავე.

7. ხარისხი

7.1 საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

8. უფლებების გადაცემა

8.1. ,,მიმწოდებელს'' არა აქვს უფლება, ,,დამკვეთის'' წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა და მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად გამოწვეული ზიანი .

10. ფორს – მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს 10 კალენდარული დღის ვადაში, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

11.2.თუ, ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერისა და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

,,მიმწოდებელი''	„დამკვეთი“
შ.პ.ს. ,,თეგეტა მოტორსი''	სსიპ შმაგი გოგშელიძის სახელობის მცხეთის მუნიციპაიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205	საიდენტიფიკაციო კოდი: 236087523
ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ #5	მცხეთა სოფელი ლისი
სს. ,,თიბისი ბანკი'' ცენტრ. ფილიალი	სს ლიბერთი ბანკი მცხეთის ფილიალი
კოდი: TBCBGE22.	ანგ № GE53LB0121131050111000
ანგ. № GE80TB0600000024467853	
გენერალური დირექტორი:	დირექტორის მ/შ:
თემურ კოხოძე	დემურ ძნელაძე

მ ი ღ ე ბ ა – ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს ა ქ ტ ი

28 იანვარი 2016 წ. სოფელი ლისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ: : სსიპ შმაგი გოგშელიძის სახელობის სოფელ ლისის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ. დემურ ძნელაძე (შემდგომში წოდებული, როგორ„შემკვეთი") და მეორეს მხრივ შპს "თეგეტა მოტორსს" შორის (შემდგომში წოდებული, როგორც„შემსრულებელი") გავაფორმეთ ეს მიღება-ჩაბარების აქტი იმასთან დაკავშირებით, რომ მიმწოდებელმა შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო (ჰაერის კომპრესორი 1 ცალი ფასი 32 ლარი და აკუმულატორი 1 ცლი ფასი 202 ლარი) რისთვისაც საფასურად მიიღო 234 (ორასოცდა თოთხმეტი) ლარი.

სსიპ სოფელ ლისის საჯარო სკოლა
საიდ.კოდი:236087523
ბანკი:სს"ლიბერთი ბანკი"
მცხეთის ფილიალი
ანგ.ნომერი:GE53LB0121131050111000
ხელმოწერა:

შპს „თეგეტა მოტორსი „
ს.კ. 202177205
სს თიბისი ბანკი
ANG.N: GE80TB0600000024467853
ხელმოწერა: